## სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
## აკადემიური საბჭო
## დადგენილება №01-05-04/219

ქ. თბილისი 29 დეკემბერი 2022წ

**საგანმანათლებლო პროგრამის მოდიფიცირებული სახით**

**დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2022 წლის 22 დეკემბრის საბჭოს სხდომის №25 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის №01-05-02/38 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს ბაკალავრიატის ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „ბიოსამედიცინო ინჟინერია“;
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრიდან;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**